# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 19 მაისი № 1469

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.



კვირას, 20 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი განსვენებულის

## ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის)

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი დილის 12 საათზე. (2—1)

ტფილისის კერძო

## სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—9 საათამდე.
მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და ელექტრონით—9—10 ს.
ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირი—11—12 საათამდე.
ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.
მ. ბ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო—2 ს.
ვ. დ. მარკოვი—სადოსტაქრო—12½ საათამდე, საშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და შარდესი—1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.
ვ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი გედევანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

## საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
**ბარონის ქუჩა, № 12** (10—1)

მკურნალი

## მიხეილ გედევანიშვილი

გადავიდა საკუთარ სახლში
ყორღანოვის ქუჩა, № 16.
ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. (10—6—5)

კვირას, 20 მაისს, „მუშტაიდის“ ბაღში **უფასო და იაფი სასადილოს** ღონისძიებათა გასაძლიერებლად გაიმართება

## სახალხო სეირნობა

მუსიკით, მომღერლებით და საჩუქრებით (ცხენი, ძროხა, ვირი და ცხვარი). სეირნობა დაიწყება შუადღის 12 საათზე. სეირნობაზე შესვლა ღირს 20 კ. (ე. 2—2)


# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 მაისს.

**სიმბირსკი.** ძველ ერანში, სენგილეევის მაზრაში, გადამწვარა 135 სახლ-კარი და აგრეთვე გომურები და საბძლები. ორი დედაკაციც დაიწვა და ათი კაცი დაშავდა. ზარალი ათი ათას თუმანს უდრის. ცეცხლის გაჩენის მიზეზი—ბავშვების ცელქობაა.

**ბაქო.** გუშინდელ ცეცხლის დროს ბიბი-ეიბათში დაიწვა ოცდა ერთი სანავთე კოშკი და რეზერვუარი, რომლებშიაც თითქმის 30,000 ფუთი ნავთი იყო. ცეცხლი ჩაქრა მხოლოდ ღამის ორ საათზედ. ზარალი 150,000 მან. აღემატება.

**პეკინი.** გერმანიის ელჩს ჩაბარეს ბრძანება ჩინეთის იმპერატორისა, რომელშიც საქვეყნოდ ჰპირდებიან 450 მილიონ ტაელის და ოთხი პროცენტის გადახდას.

**სტოკჰოლმი.** ორივე პალატამ დაამტკიცა კრედიტი 3,769,800 კრონისა ჯარისთვის ახალ შენობების ასაგებად. მთავრობა თხოულობდა ოთხ მილიონს.

**პოჩეფსტრომ.** ბურების რაზმი, 400 კაცისაგან შემდგარი, დაეცა ინგლისელ ქარავანს, რომელიც ვენტერსდორპში მიდიოდა. ბურები ორჯერ უკუაგდეს. 14 კაცი მოკლულ იქმნა და 9 დაჭრილი.

**ვარცინი.** ვილჰელმ ბისმარკი აქ გარდაიცვალა პატარა ხნის ავადმყოფობის შემდეგ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი.** ირლანდიის ვიცე-კოროლმა დუბლინში სიტყვა წარმოსთქვა და გამოაცხადა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის მეფე ირლანდიაში მოვაო. გერმან. გაზ. «ჰამბ. ნახრ.»-ის ლონდონელ კორესპონდენტს არა სჯერა, რომ ინგლისის მეფემ ირლანდიაში მისვლა მოინდომოს, რადგანაც ირლანდიელები, მეტადრე, ამ ბოლო დროს ძლიერ მტრულად უყურებენ ინგლისს. ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინგემმა უფრო გაამწვავა ეს სიძულვილი, მით რომ ირლანდიელი ნაციონალისტების უმთავრესი გაზეთი «აირიშ პიპლ»-ის («ირლანდიის ერი») ერთი ნომერი აღკრძალა. ირლანდიელები ეხლა ისეთ გუნებაზე არიან, რომ ინგლისის მეფის აქ მოსვლა მეტად უდროვო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ეს მეფე ირლანდიელებს არასოდეს არ მოსწონდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეშინიათ ვაი თუ მეფეს ირლანდიაში რაიმე დაუშავდეს კიდეცაო. ბევრი ჰფიქრობს, რომ ვიცე-კოროლმა მხოლოდ უბრ[illegible] ფორმალური წესი შეასრულაო, რომ ა[illegible]ისის მთავრობას ამით ის უნდოდა ეჩვენებინა ირლანდიელებისათვის, რომ ის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ირლანდიის მოძრაობასო. ნამდვილად კი ყველამ იცის, რომ ირლანდიაში არასოდეს არა ყოფილა ისეთი ძლიერი მოძრაობა, როგორც ეხლა.

— დეპეშებში მოკლედ იყო ნაამბობი, რომ ინგლისის მეფე კინაღამ არ დაიღუპა ზღვაში გემ «შამროკ მე-II»-ზეო. ეხლა ეს ამბავი უფრო დაწვრილებითაა ნაამბობი გაზეთებში:

«ერთმა გამოჩენილმა ინგლისელმა კაპიტალისტმა ბ-ნმა თომას ლიპტონმა ამას წინად ერთი პატარა იალქნიანი გემიააშენა იმ აზრით, რომ იალქნიანი გემების მომავალ საერთაშორისო გაჯიბრებაზე გაეშვა ამერიკაში. წინანდელ გაჯიბრების დროს გამარჯვება ამერიკულ იალქნიან გემს «კოლუმბია»-ს დარჩა: მან გაუსწრო ლიპტონის გემს «შამროკ I»-ს. ამავე ლიპტონის ახალ გემს «შამროკ II»-ს ამ სირცხვილიდან უნდა დაეხსნა ინგლისი. ამის გამო ამ გემის ზღვაში გამოცდამ მთელს ინგლისში საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. 9 მაისს საუტჰამპტონში უნდა გამოეცადათ «შამროკ I» და «შამროკ II». თითონ მეფე ედუარდიც წავიდა ამ გამოცდაზე დასასწრებლად. დილის ათ საათზე მან ერთი ადიუტანტი იახლა თან და საუტჰამპტონში მივიდა, სადაც მას ლიპტონი მიეგება და თავის გემზე მიიწვია. მეფე დასთანხმდა და «შამროკ II»-ში ჩაჯდა. ზღვა დაწყნარებული არ იყო, მაგრამ გამოცდა მაინც არ გადადვეს. «შამროკ I» და «შამროკ II» გაშალდ ზღვაში შევიდნენ და 4 წამის განმავლობაში თანასწორად მიდიოდნენ. უეცბ ასტუდა საშინელი ქარი და იმ გემს, რომელზედაც მეფე იჯდა, იალქანი მოჰგლიჯა. გემი ზღვის ტალღებმა თავიანთ ნებაზე წაიღ წამოიღეს აქეთ-იქით. ეს სცენა კარგად სჩანდა ნაპირიდან, და ის საზოგადოება, რომელიც გამოცდას უყურებდა, მეტად შეშინდა, ვაი თუ მეფე დაიღუპოსო. «შამროკ II»-ს ხელად მისი მოცილე «შამროკ I», ლიპტონისავე მეორე «ერინი» და ორი სხვა მდგო-

# ფელეტონი

**დიდი სახელის მოხვეჭის მსურველს.**

(დასასრული *)

ჩვენ წარმოვთქვით ჩვენი აზრი უთურგაულის და სხვების შესახებ. ვერც ამ აზრის მნიშვნელობა გაუგია ბ. გოგებაშვილს. ჩვენი ერთად-ერთი სურვილი იყო—ნაცნობ-გოგებაშვილს უნდა გამოერკვია ქართველ პედაგოგების ძალ-ღონე საპედაგოგიო თეატრიაში, და ეს ეჩვენებინა გამოფენაზე. ჩვენ ეს მხოლოდ კერძო მაგალითით ავხსენით. რაც შეეხება უთურგაულის უკანასკნელ დროის მოქმედებას და „დედა-ენის“ ცაში ყვანას და ამის ცირკულიარში გამოჰიმვას, —მიზეზი გარეშე გავლენა იყო... ვგონებთ, ესეც კმარა...

ჩვენ არ ვიცოდით, თუ ვინაა ნაცნობი, თორემ მაგ შენიშვნას არც მივცემდით მას. ან რა ნაირად უნდა მომხდარიყო, რომ გოგებაშვილს თავის წინააღმდეგ მოეთავსებინა რამ თავის წერილში? პირიქით, მან ქო თავის თავი და თვისივე მაქებელი არტურ ლესინგიც ზედ დაურთო, და ამიტომაც ასე მაგრა ებღაუჭება ლეისტს...

ამით ვათავებთ უმთავრეს შენიშვნებს საპოლემიკო საგნის შესახებ. მაგრამ ნაცნობმა-გოგებაშვილმა შემოიტანა პოლემიკაში იმისთანა მხარე, რომელიც თუმცა კამათის საგანს სრულებით არ ეხება, მაგრამ თხოულობს წინ გადაელობოს ადამიან მთელის თავის ღონით.

ნაცნობი-გოგებაშვილი, როგორც ნოეს სკოლის მოწაფე და ერთ გვარ ჯურის სწავლის მექონე, ჰქადაგებს ხოლმე მორალის ნიადაგზე. რა ღირსებისაა ეს ქადაგება? დავიწყოთ აქედან: „რომ ეს პორი (ჩვენი წერილი) არის ნაყოფი არა უცოდინარობისა,—ამბობს გოგებაშვილი,—არამედ ბოროტის განზრახვისაო“... მერე რითი გვიმტკიცებს ავტორი „ბოროტ“ განზრახვას ამ შემთხვევაში? ჩვენი „ბოროტი განზრახვა“, მკითხველო, თურმე მდგომარეობს იმაში, რომ გავკიცხეთ ის, რაც იყო გასაკიცხი, ე. ი. დავიწუნეთ ნაცნობის წერილი. ჩვენ რომ გოგებაშვილის საწყაოთი გავზომოთ სხვის ყოფა-ქცევა, მაშინ თვით ბ. გოგებაშვილის მოქმედებასაც მიეზომება თავის ხვედრი... მაგრამ ნუ ავჩქარდებით. გოგებაშვილი არა თუ თვითონ გვესევა, არამედ სხვებსაც გვისევს. ნაცნობი უცხადებს თავის მეგობრებს (ალბათ, მეგობრები იქნებიან): „...უშიშრობას იჩენს (ჩვენ) მხოლოდ **იმ შინაურების წინააღმდეგ**, რომელნიც შეძლების დაგვარად ემსახურებიან წალმართს მიმართულებას ხალხის განათლებაშიო“... რითი ამტკიცებს ავტორი, რომ ჩვენ უკულმართობის წინააღმდეგ თავის დღეში ხმა არ ამოგვეღოს? აქ ჩვენ თავზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია და თუ გარემოება მოითხოვს, დავასაბუთებთ კიდეც...

გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ თუ რამდენიმე პირი მიიმხრო ჩვენ წინააღმდეგ, ამის საქმე გარეგნობით მაინც გაკეთდება. ვამბობთ ამას იმიტომ, რომ ხალხის განათლებაზე მზრუნველებს არც ერთი სიტყვით არ შევხებივართ, რის გამოც გოგებაშვილის ლაპარაკი როგორც ლულა გაცვეთილი საშუალება და არა **უმანკო** ხმა, უნდა განითანტოს უდაბნოსა შინა...

ზემოთ მოყვანილ ადგილთან აშკარად სჩანს, რომ გოგებაშვილს თავის თავი და სუყველა ქართველი პედაგოგები („ოთოთაანთ ქორების“ გარდა) ერთ სიდიდეთ მიაჩნია; უკეთ ვთქვათ, ვითომ გოგებაშვილი იყოს ერთად-ერთი კაცი, გამტანი ჩვენი სწავლა-განათლებისა... ამ mania grandiosa-ს ისე გაუტაცნია ჩვენი მოკამათე, რომ ყველა გოგებაშვილი დიდი ნიჭის პატრონი ჰგონია. შანშიევიო,—გვაუწყებს გოგებაშვილი,—სომხობაში დიდი ნიჭის პედაგოგი გამოდგაო. თურმე ნუ იტყვით, იმის (შანშიევის) პაპა იყო გვარად გოგებაშვილი“, საიდანაც ნიჭი გარდასცემია... არც ამას უნდა განმარტება...

Mania grandiosa მოსვენებას არ აძლევს გოგებაშვილს და გვეკითხება: რა გააკეთეთო? აი ამის პასუხიც. აწ განსვენებულმა რ. ჯაჯანაშვილმა შეადგინა „მეგობარი“ და „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა“. გოგებაშვილს ამ წიგნებმა თავზარი დასცეს: ის დარბოდა და გაჰკიოდა: „არიქათ, უშველეთ, საქართველო იღუპებაო!.. გამოსცა ა. ნათაძემ „ბავშვების მოკეთე“. მინამ ეს წიგნი დაიბეჭდებოდა და გამოქვეყნდებოდა, გოგებაშვილმა გაზეთში (ვგონებ, „ივერიაში“) საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ნათაძის წიგნში საქართველოს ღალატიაო. . გამოსცა რამდენიმე წიგნი არ. ქუთათელაძემ,—გოგებაშვილს სწორედ შმაგი დაემართა და წიგნებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია... ამ ნაირად, გოგებაშვილი მთელის თავის სახსარით და ყოველ გვარ საშუალებით

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1465.

მი ნადმიანი გემი მიუშველნენ. მაგრამ სანამ ესენი დაზარალებულ გემს მიუახლოვდებოდნენ, აქედან ანიშნეს, რომ ყველანი ცოცხლები არიან და შველა საჭირო არ არისო. «შამროკ II» ნაპირთან მივიდა. მეფე არხეინად იჯდა ლიპტონის გვერდზე. როგორც აღმოჩნდა, ამ გემზე მყოფი ხალხი მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის მიზეზით გადარჩა დაღუპვას. ტალღები გემის გვერდს დაეჯახნენ, ამიტომ იალქნები ზღვაში გადაცვივდა და არა გემის ანზე, რომელიც სავსე იყო ხალხით და რომელზედაც იმყოფებოდა ედუარდ VII. როცა მეფე სადამოს ლონდონში დაბრუნდა, საზოგადოება, რომელსაც უკვე გაგონილი ჰქონდა ეს ამბავი, მას მხურვალე თანაგრძნობით დაუხვდა სადგურზე.

**საფრანგეთი**. 10 აპრილს ნაციონალისტმა დეპუტატმა ბერნარმა პალატაში წინადადება შეიტანა, რომ თეატრალური პიესების ცენზურა გაუქმდეს საფრანგეთშიო. ეს საკითხი მან იმის გამო აღძრა, რომ ამას წინად აღკრძალეს გონონის პიესის «დეკადანსა»-ის წარმოდგენა, რომელიც ურიების წინააღმდეგაა დაწერილი როცა ბერნარმა თავისი წინადადება შეიტანა, მან განაცხადა, რომ სათეატრო ცენზურა ტყუილად ავიწროვებს პიესებსაო. იმ დროს, როცა გასართობ ადგილების სცენებზე აშკარად მღერიან ურიგო სიმღერებსა და კუპლეტებს, ცენზურა არ უშვებს სცენაზე წარმოსადგენად ისეთ სერიოზულ პიესებს, რომლებშიც საზოგადოებრივი ზნეობა ერთი სიტყვითაც არაა შეურაცხყოფილი. დასასრულ ბერნარმა მოითხოვა, რომ პალატას დაუყოვნებლივ განეხილა მისი წინადადება. მთავრობის მხრივ განათლების მინისტრმა ლეიგმა ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ ისიც არაა ცენზურის მომხრე, მაგრამ ბერნარისაგან აღძრული საკითხი ყურადღებით უნდა იყოს განხილული, ამიტომ ამ საკითხის აჩქარებით გადაწყვეტა საზარალო იქმნებაო. პალატა დაეთანხმა მას და 328 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 124 სა, უარჰყო ბერნარის წინადადება.

— გაზეთები იუწყებიან, რომ სენატის კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს პალატის მიერ მიღებული კანონ-პროექტი ასოციაციების შესახებ, 12 წევრი მომხრეა ხსენებული კანონ-პროექტისა, ხოლო 6 წინააღმდეგიაო.

**იტალია**. როგორც დეპეშებმა გვაუწყეს, მეფე ჰუმბერტოს მკვლელმა, ანარხისტმა ბრეშიმ თავი მოიკლა «პორტო სან სტეფანოს» საპყრობილეში, სადაც ის ამ რამდენიმე ხნის წინად გადაიყვანეს როგორც სან-სტეფანოდან იუწყებიან, უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ბრეში მეტად აღელვებული იყო; დარაჯები, რომლებიც მას ედგნენ, ხმას არ სცემდნენ. ბრეშის ოთახი იმნაირადვე იყო აშენებული, როგორც დრეიფუსის ოთახი ეშმაკის კუნძულზე; ოთახს მხოლოდ 3 მეტრი განი ჰქონდა. ბრეში ჯაჭვით იყო მიბმული კედელზე, მაგრამ სიარული კი შეეძლო, ისე, როგორც გალიაში ჩასმულ მხეცს შეუძლიან. ბრეშის ოთახის ორსავ მხარეს მისი ზედამხედველების ოთახები იყო გამართული; ამათ ერთ წამსაც არ უნდა მოეშორებინათ თვალი ტუსაღისათვის, ხოლო ხმა კი არ უნდა გაეცათ. ბრეშის მეტად სწყინდა ეს სიჩუმე. ის ეუბნებოდა დარაჯებს: «თქვენ ჰნახავთ, რომ ჩემი აღსასრულის დღე მალე დადგება; მაშინ ინანებთ, რომ ასე ცუდად მექცეოდით». ხოლო ბოლოს დროს ბრეში თითქმის სრულობით გამოიცვალა. ის ხმას აღარავის არა სცემდა და დაღვრემილი სულ რაღაცას ფიქრობდა. ერთ დამეს მას შარვლიდან ზონარი გამოეძრო, ყელში გაემაგრებინა და თავი ჩამოეხრჩო. თავის ოთახის კედელზე მას ფრჩხილით დაეწერა სიტყვა: «შურის ძიება».

**გერმანია**. «პარი ნ ველ»-ი იტყობინება, რომ გერმანიის მე-63 ქვეითა პოლკის როტის უფროსს კაპიტან ჰენრიხს 6 თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს, რადგანაც ის მეტად უღირსად ექცეოდა ჯარის კაცებსაო.

— როგორც დეპეშებიდან ვიცით, გერმანიის იმპერატორმა თავისი ვაჟი-შვილი, მემკვიდრე პრინცი, ბონის უნივერსიტეტში შეიყვანა უმაღლესის სწავლის მისაღებად. «პარი ნუველ»-ის სიტყვით, ცნობილ პოეტს ფელიქს დანს შემდეგი ლექსი უძღვნია პროფესორი ფილიპე ცორნისათვის, რომელიც ამ უნივერსიტეტში სა მოქალაქო უფლებას ასწავლის: «გერმანიის მომავალ იმპერატორს მის უფლების შესახებ მოკლედ ელაპარაკე, ხოლო მის მოვალეობაზე კი უფრო დიდი ყურადღება მიაქციე».

— გაზეთ «ბეობახტერ»-ის რედაქტორმა ერთ წერილში მეტად გაკიცხა იმპერატორ ვილჰელმ II. მაზე, რომ ეს ყველაფერში ინგლისს ემხრობაო. ავტორს იმპერატორის დიდებულების შეურაცხყოფა დააბრალეს და საქმე სასამართლოს გადასცეს. მაგრამ სასამართლომ გაამართლა ეს რედაქტორი, რადგანაც უმთავრესმა პროკურორმა ბრალდებულის დასაცველად წარმოსთქვა სიტყვა. მან სთქვა, რომ იმპერატორის პოლიტიკა გერმანიის ერის უმეტესობას არ მოსწონსო, რადგანაც გერმანელებს ინგლისელები სძულთო, ხოლო გმირი ბურები კი მოსწონთო, მაშასადამე ამ ჟურნალისტმა მხოლოდ ის გამოთქვა, რასაც ყველა გერმანელები ჰგრძნობენო. დამსწრე საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება მის სიტყვას და მოსამართლეებმა გაამართლეს რედაქტორი.

---

# ახალი ამბავი

◆ მიწად მოქმედების სამინისტრომ შეატყობინა კავკასიის **სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომიტეტს**, რომ ბ-ნმა მიწად მოქმედების მინისტრმა გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების წარმოდგენისათვის დანიშნა შემდეგი საჩუქრები: 5 ოქროს მედალი, 10 დიდი და 20 პატარა ვერცხლისა და 50 ბრინჯაოს მედალი და 100 ქების ფურცელი. ეს საჩუქრები დაინიშნა მიწად მოქმედების ყველა განყოფილებათაგან.

◆ **სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის** სადგომში გუშინ-წინ მოხდა საჯარო ვაჭრობა ქუთაისისა და ტფილისის იმ დაგირავებულ მამულებისა, რომელთა პატრონებს ხვედრი გარასახადი ბანკში დროზედ არ წარუდგენიათ. გასასყიდად დანიშნული იყო სულ 14 მამული—12 ქუთაისისა და 2 ტფილისის გუბერნიისა. ამათგან გაიყიდა ორი მამული ქუთაისის გუბერნიისა და ერთი ტფილისისა. დანარჩენ მამულებზედ საჯაროდ ვაჭრობა დაინიშნა 31 მაისისათვის.

◆ გუშინ წინ ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა იმ მცირე კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს პროექტი ქალაქის **სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთებისა**. რადგანაც ამ დღეს კომისიამ საბოლოოდ ვერ მოასწრო საქმის განხილვა, სხდომა გადაიდო ორშაბათს, 21 მაისისთვის.

◆ ხუთშაბათს ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა კრებას განსახილველად წარედგინა მოხელეთა **გამსესხებელ შემნახველ კასის ანგარიში**. კრებამ შეუძლებლად დაინახა ანგარიშის დამტკიცება და ამოირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ერთისთვის განმავლობაში დაწვრილებით შეამოწმოს იგი და წარმოუდგინოს კრებას ხელმეორედ განსახილველად.

◆ **ტფილისის თვით-მმართველობის მოხელეთა კრებაზედ** განიხილეს, გარდა შემნახველ-გამსესხებელ კასის ხარჯთ-აღრიცხვისა, კასის გამგეობის მოხსენება ქალაქისაგან კასისათვის 8000 მანეთის სესხის აღებისა განსაკუთრებულ კასირის თანამდებობის მოსპობისა და ქალაქის კასასთან შეერთების შესახებ. განხილულ იქმნა აგრეთვე კასსის რეორგანიზაციის პროექტი გამგეობის წევრად ნამყოფის თ. არგუთინსკისა, რომელიც, გარდა წესდების ზოგიერთ მუხლების გამოცვლისა, წინადადებას იძლევა შემნახველ-გამსესხებელი კასსა შეუერთდეს ქალაქის კასსას. კრება ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყვეტილ გზას ვერ დაადგა...

გა და კითხვის უფრო სავსებით გამოს-
ვევად ამოირჩია განსაკუთრებული კომის[...]

◆ გუშინ ვაჭრობისა და მანუფაქ[...]
რის კომიტეტში სამოვა-კომერციულ[...]
კის უმთავრესს ბუგალტერს მოახდინ[...]
**ნოქრების საურთიერთო დამხმარებელ[...] ზოგადოების** დამფუძნებელთა კრება.

◆ კომერციულ სასწავლებლის **და[...] მოსწავლეთ დამხმარე საზოგადოების** და[...] ფუძნებელთა რიცხვში შეტანილია—მ[...] დოლუხანოვი, ე. ა. დავიდოვი, ვ. ა. მ[...] ქელაძე, ი. ნ. ვერეტენიკოვი, ი. ა. შა[...] ნოვი, ა. ი. მანთაშევი და ა. ფ. ფრიდ[...] ნოვი.

◆ ტფილისის **კომერციულ სასწავ[ლე]ბლის** დირექტორი ბ. ფიშერი წავიდა ზღვარ-გარეთ. 16 მაისიდან ხსენებულ სწავლებლის მოსწავლენი დაითხოვეს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გა[...] სცა **კავკასიის საზეითალო სამმართველ[ოს]** 205.000 მან. დახოცილ ჭირიან საქ[ონე]ლის მეპატრონეთა შარშანდელ ზარალ[ის] ასანაზღაურებლად.

◆ „კავკაზ“-ის გუშინდელ №-ში დაბ[ეჭ]დილია კავკასიის მთავარ-მართებლის თა[ნაშემწის] გ. ს. გოლიცინის შემდეგი **ბრძანება**: „რა[...] დგანაც უმაღლესის ბრძანებით ქუთაისის ს[...] მხედრო გუბერნატორი გენ.—მაიორი გ[...] შელმანი ვარშავის სამხედრო ოლქის უ[...] როსად დაინიშნა, წინადადებას ვაძლევ ქ[უ]თაისის ვიცე-გუბერნატორს კალოჩოვს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თა[ნა]შემწეს პოლკოვნიკს დრიაგინს – ახალს ნ[...] ნკარგულებამდე მმართონ ქუთაისის გუბ[ერ]ნია: პირველმა სამოქალაქო ნაწილი, მე[ო]რემ—სამხედრო-სახალხო.“

◆ უწმინდესის **სინოდის** ობერ-პროკ[უ]რორის უქვეშევრდომილესს **მოხსენებ[იდან] ს**ჩანს, რომ 1898 წელს საქართველოს ეგზარხოსოში ყოფილა სულ 1519 მართ[ლ]მადიდებელი სამრევლო ეკკლესიები—საკ[რე]ბულო 27, შტატის სამრევლო ეკკლესი[ები] —1519, უშტატო—732, კარისა და სას[წა]ვლებლებისა—58, სასაფლაოსი—54, სა[...] სიონერო—2, საზღვრის დარაჯთა ბრიგა[დი]სა 4, გზათა სამინისტროსი —1, სამლო[ც]ველო სახლები—12, სულ—2408. ეგზ[არ]ხატის 1726 სამღვდელო პირთა შორის ა[კა]დემიელი ყოფილა მხოლოდ 13, სემინა[რი]ელები 258, დანარჩენებს კი გაუთავებ[ი]ათ სასულიერო სასწავლებელი, ან შინაური[...] თომ-და განათლება მიუღიათ: ამ უკანასკ[ნე]ლების მთელი ცოდნა მდგომარეობს წირ[ვა-]ლოცვის წესის შესრულების ცოდნაში, [...] არა იციან რა.

---

წინ ელობებოდა ქართველ პედაგოგების მოღვაწეობას, კრიჭაში ედგა „შინაურებს“, ხალხის განათლების მუშებს...

ნაცნობი-გოგებაშვილი იმდენად აშკარად ჰღალატობს თავის თავს, რომ რასაც გუშინ ამტკიცებდა და დაურღვეველ სიმართლედ მიაჩნდა, ყველა ამაზე დღეს ხელს იღებს. გოგებაშვილმა მთელი თავისი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება მოანდომა იმას, რომ ყველასთვის ცხადი ყოფილიყო ქართველის „შესანიშნავი ნიჭი“ სწავლა-განათლებაში. ჩვენდა საუბედუროდ, გოგებაშვილი თავის მეორე წერილში სრულებით უარსა-ჰყოფს ამ აზრს. პირიქით, საქართველოს ინტერესების დამცველს (იგულისხმე ნაცნობი-გოგებაშვილი), ასე ვთქვათ, საქართველოს პატრონს, მთელ ჩვენს ლიტერატურაში გარყვნილების მეტი არა დაუნახავს-რა. მაშასადამე, საქართველოს წინმსვლელობა, კულტურული ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი ხდება,—დაუმატოთ ჩვენ. აი თვით გოგებაშვილის აზრიც: „ქართული მწერლობა, ღარიბი ყოველი ჭეშმარიტი ღირსებით, მეტად მდიდარია ერთმანეთის გათახსირების მადით, ჭორის წყურვილით (ხაზი ჩვენია)“. ბ. გოგებაშვილო! რა მანქანებით უნდა აიხსნას, რომ „ყოვლად ნიჭიერი“ ხალხის მწერლობა იყოს მოკლებული „ყოველ ჭეშმარიტ“ აზრს? ნუ თუ ჩვენ ლიტერატურაში „ჭორის“ და „გათახსირების“ მეტი არა მოიპოვება-რა? რა იქმნენ თქვენი ყურმოჭრილები, რომლებმაც „აღიმაღლეს თავისუფლების და კაცობრიულ თვისებათა“ დროშა? თუ ამ „პედაგოკმა ხალხმა“ შესძლო გადაეცა და — თქვენის თქმით,—გადასცა კიდეც თავის „შესანიშნავი“ ნიჭი, რომელმაც „შესანიშნავი პედაგოგები შვა საქართველოში,—ამ „კეთილმა“ ხალხმა თავისი სიკეთე, სინიდისი, ზნეობა-სიფაქიზე რატომ ველარ გადასცა თავის საყვარელ „შვილებს—ქართველებს“?.. განა ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რ. ერისთავის, ყაზბეგის ტ მრავალ სხვების (და თითონ თქვენიც) ნაწერები მოკლებულნი არიან „ყოველ ჭეშმარიტებას“ და შეიცავენ ხოლო „ჭორიკანობას“, „გათახსირებას“?!.

ამის შემდეგ კითხვას ვაძლევთ შუა კაცს: რამდენათ შეესაბამება გოგებაშვილის-მიერ მსოფლიოგამოფენისათვის დამზადებულ წერილის დედა-აზრი იმ აზრს, რომელიც წარმოითქვა მისავე მეორე წერილში ქართული მწერლობის შესახებ? ჩვენვე ვიძლევით პასუხს: ეს ორი აზრი ეწინააღმდეგება ერთმანეთს მთელი თავისი შინაარსით; ამიტომ ერთი მეორეს სრულებით აქრობს, აქარწყლებს, უმნიშვნელოს ჰყოფს. მაშ, თუ ეს ასეა, — ჩვენ-კი ასე ვფიქრობთ,—რა ზოგადი აზრი უნდა დაესკვნათ ევროპაში ევროპიელებს, ორივე წერილი რომ ერთად მიეღოთ? ვიკითხოთ, რაღა დარჩა აზრთა წინაღმდეგობის შემდეგ ავტორის ორ წერილში? პირველ წერილში—შესანიშნავი მწერალი—პედაგოგი, ნაცნობი-გოგებაშვილი, რომელიც დამყარებულია ლეისტის მხრეზე; ხოლო მეორეში — „იკლიკანტური“ (შესანიშნავი პედაგოგი დეკადენტურ ფილოსოფიის ენაზე უნდა ლაპარაკობდეს); ეს სიტყვა, წარმოიდგინეთ, იმითაა შესანიშნავი, რომ არაფერს არა ნიშნავს! ამ სიტყვის დანაფასევი უდრის სტატიის მთელ შინაარსს...

ზემოთ მოვიყვანეთ ბ. გოგებაშვილის შემდეგი აზრი:... „უშიშრობას იჩენს... შინაურების წინააღმდეგ, რომელნიც... ემსახურებიან წმიდათა მიმართულებას ხალხის განათლებაშიო“... ავტორი, უმეტ-ნაკლებოდ, ქვეყნის ლალატსა გვწამებს. ამას დაურთეთ: „ბიწი“, „ზნეობრივი მახინჯი“ და მრავალი სხვა, რასაც ყოველთვის უხვად სთესს გოგებაშვილი. ვისთვის და რისთვისაა საჭირო გოგებაშვილური პოლემიკის თაიგული? ეს ხომ მკითხველზედაც ერთობ გამრყვნელ გავლენას იქონიებს. ამისთანა წერილების სტამბაში თვით რედაქციებს არა ნაკლები ბრა[ლი] ედებათ.. „ქვეყნის მოღალატე“! ვინ მ[ის]ცათ ნება, ბ. ნაცნობო-გოგებაშვილო, რ[ომ] სხვებს ასე თამამად ამ სიტყვებით მიჰმ[არ]თავთ ხოლმე?

უსაფუძვლოდ წამოსროლილ სიტყვ[ას] „ქვეყნის მოღალატე“ —სრულებით არ გ[ვე]შინიან. ბევრი ხანია, რაც იხმარებიან სიტყვები და ბევრჯელ უადგილოთ, უ[სა]ფუძვლოთ წარმოთქმულან. ამიტომ—„ქვე]ყნის მოღალატე“—დღეს ჩვენ ცხოვრებ[ა]საზოგადოდ წარმოადგენს ერთ მხრივ [გა]ძველებულ და გაცვეთილ ფარს, ხოლ[ო] მეორე მხრივ—დაჟანგებულ ქართულ თო[ფს], რომელსაც ფეხი აღარ უსხლტება... ე[რთი] სიტყვით, „ქვეყნის მოღალატე“ —ზოგი[ერ]თების (მაგალ., გოგებაშვილის) პირში [წა]რმოადგენს ბაღჩის საფრთხობელას...

სხვებიც მუშაობენ, ბ. ნაცნობო-გოგე[ბა]შვილო, „შეძლების დაგვარად“ ქვეყ[ნის] სასარგებლოთ, და ვინ იცის—იქნება ამა[თ] შრომაც ნაყოფიერი იყოს და იქნეს, მა[გ]რამ კმარა...

ლ. საგინთელი

...რევლო და წერა-კითხვის სკოლების ...ვი ეგზარხატში 1898 წელს იყო 700; ...ვლო სკოლებში სწავლობდნენ — ...28 ვაჟი და 3.927 ქალი, წერა-კითხ... ...კოლებში-კი — 4.444 ვაჟი და 1839 ქა... ...სულ — 23.238 მოსწავლე.

... ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ...ბათა მმართველი ბ. ბეკე 2 თვით საზ...გარედ მიდის. 22 მაისიდან მის თა...ებობას შეასრულებს დრჟევიცა-კოვაჩი.

... ტფილისში ჩამოვიდა **სამარყანდის** ...**რნაჯურის** თანაშემწე ბ. არვანიტაკი.

... მომავალ საიუბილეო **გამოფენის** გა...**კომიტეტმა** არ მიიღო ტრამვაის უსაა... ...ო საზოგადოების 300 მანეთის დახმა...

... მიწად მოქმედების სამინისტრომ ამ ...ებში გამოუგზავნა კავკასიის სამეურნეო ...გადოების საბჭოს სამინისტროში შე...ვებული პროექტი, თუ როგორ უნდა ...ეს მოწყობილი საზოგადოდ რუსეთში ...**ხის ჭერის საქმე**.

... ხუთშაბათს, 17 მაისს, ქალაქის გამ...ის დარბაზში გამგეობის წევრის თავ... ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით ...მა ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რო...აც მინდობილი აქვს **განსვენებულ ნ. ...ზუბალაშვილის ანდერძის** სისრულეში ...ანა — ტფილისში ღარიბთა თავ შესაფა... სახლის აშენება. როგორც მკითხველებ... ...უწყია, განსვენებულმა ამ საქმისათვის ...,000 მან. დასტოვა და მასთანვე სახლი ...ადგილი პოლიციის მე-2 ნაწილში, სა...რთლოს ქუჩაზედ. კომისიას განსახილ...ად წარედგინა სამი პროექტი თავ-შესა...ისათვის ახალის სახლის აშენებისა; ამათ... მოიწონა კომისიამ პროექტი ტეხნი...ის ბ-ნ აგანჯანოვისა. ამ პროექტით სახ...ასაშენებლად საჭირო იქნება სულ — ...000 მან. საბოლოოდ განსახილველ-და...ტკიცებლად ეს პროექტი ახლოს მომავალ... წარედგინება ქალაქის საბჭოს. ტეხნიკმა ...ჯანოვმა თავის პროექტისათვის მიიღო ...ლდო 500 მ.

... ახლად აღმოჩენილ გარემოებათა მი...თ, ტფილისის გუბერნატორმა წინადა... მისცა ქალაქის თავს, სისრულეში არ ...ყვანოს საბჭოს დადგენილება შესახებ ...ილის დათმობისა მარიამ ფრანცისა... **ალექსანდრეს ბაღის შუა ნაწილში**.

... აღძრულია შუამდგომლობა სათანადო ...რობის წინაშე **საფერშლო სკოლის** ...მხედველის და მის თანაშემწის ჯამაგი...ის მომატების შესახებ.

... **„ნადეჟდას“ თავშესაფარისათვის** (ნავ...ულში) ხაზინას გადაუდვია 450 მ.

... გუშინ ტფილისის ქალაქის თავმა წა...დგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად ...**ის ჭალის ექსპლოატაციის** პროექტი.

... ხუთშაბათს, 17 მაისს, თავად-აზნაურ...თეატრის შენობაში გამართული იყო ...**ხური წარმოდგენა**. წარმოდგენილ იქ... „ავაზაკები“ ტრაგედია 5 მოქმ. შილ...ისა. ფრანც მორის როლს ასრულებდა ...წარმოდგენის მმართველი ბ. ანდრონი... ...არ გვესმის, რათ უკისრნია ბ. ანდრო...ს იმ როლის თამაში, რომელიც სრუ...ად არ შეეფერება მის ნიჭს და რომლის... ...ძალაც არ შესწევს. ამ ახალგაზდა ...ისტს, რომელსაც მართლა აქვს ნიჭი, ...ო შეუძლია კომედია-ვოდევილებში თა... კარლოსის როლს გვარიანად ასრუ...და ბ. ამო (ხარაზიანცი), რომელიც მომა...ში, თუ ყურადღებით იმუშავა, კარგი ...მატიული არტისტი დადგება. კარგად ...რულა შპიგელბერგის როლი ბ. ერიციან... ...რა უშავდა-რა ქ. აზნივს ამალიას როლ... კარგი პატრი იყო ბ. მირზოევი. დანარ...ი როლებს არ აფუჭებდნენ. თეატრი ...რად ცარიელი იყო.

... გუშინ დილით ნავთლუღის იქით მდე... ქალაქის მიწებზედ ერთი უბედურება ...ხდა. ეს მიწები იჯარით აქვთ ალე... ...ი ნავთლუღელებს. გუშინ დილით მუ...

...ღანლოს თათრები ცხვარს მიერეკებოდნენ და ამ ადგილას რომ მივიდნენ, საძოვრად შეაჩერეს. სოფლელებისაგან დაყენებულმა დარაჯმა ამის ნება არ მისცა მათ და ამის გამო მათ შორის ჩხუბი ასტყდა. ერთ დარაჯს მივარდა ექვსი თათარი ხანჯლებითა და ჯოხებით და უწყალოდ ცემა დაუწყეს. დარაჯის ყვირილზედ მიირბინეს სოფლელებმა, რომელთაც იარაღი აჰყარეს თათრებს და სამაზრო პოლიციას გადასცეს. კარგა მძიმედ დაჭრილი დარაჯი საავადმყოფოში წაიყვანეს. სხვათა-შორის მას თვალი აქვს დაშავებული ხანჯლით.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, ოთხშაბათს, 16 მაისს, ციციშვილის ქუჩაზედ ალექსი ამბარცუმოვის სახლში ვიღაც რაფიელის (გვარი არ იციან) ცოლი სახელად შაგიკი დილის 10 საათზედ უნახავთ **ყელგამოჭრილი**; მოკლულს ჭრილობა აქვს ყელსა და თავში. პოლიცია უკვე შეუდგა ფიცხელ გამოძიებას მკვლელის აღმოსაჩენად. ეს ამბავი ეცნობა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს და გამომძიებელს.

◆ როგორც **ტფილისის ბრმათა სამზრუნველო** საზოგადოების გამგეობისაგან გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, სამზრუნველოს ამა წლის პირველ აპრილამდე ჰქონია ფული სულ — 12,437 მან. 93 კ. აპრილის განმავლობაში შემოსულა 667 მ. 37 კ. სულ 13,105 მ. 29 კ. აღნიშნულ თვის განმავლობაში სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინა 581 კაცს. ოპერაცია გაუკეთდა 116 კაცს, ამათგან 47 კაცს სამზრუნველოს სახლში მწოლარეთ, ხოლო 69 გარედან მოსიარულეთ.

◆ გუშინ წინ, საღამოს 9 საათზე, გაქანებული ეტლი დაეტაკა ერთ კაცს და ქვეშ მოიტანა, ასე რომ დაშავებული საავათმყოფოში გასაგზავნი შეიქნა. მეეტლე გაიპარა, მაგრამ იქ დამსწრეთ შეუმჩნევიათ ეტლის ნომერი — 80.

◆ მიხაილოვის ქუჩაზე, კბილის ექიმ ვ. ჭიჭინაძის სადგომიდან (№-81) ხელზე მოსამსახურე ბიჭს ილ. კოჭლაძეს მოუპარავს ქალის ოქროს საათი ძეწკვით, ბრილიანტის მედალიონი და სხვა ნივთები, ღირებული სულ 250 მან.

◆ **ავჭალის ქუჩაზე ტერ-გუკასოვის სახლში** მიკირტუმოვის სამიკიტნოდან მოუპარავთ ვერცხლის ქამარი, საათი და სხვა ნივთები, ღირებული სულ 210 მან. ქურდობას სწამებენ ვიღაც კოტეს, რომლის გვარი არ იციან.

◆ 16 მაისს ვიღაც კრასოვსკის (ანდრეევის ქუჩა, № 15) ბუფეტის შკაფიდან მოჰპარეს 2 ხუთ პროცენტიანი მომგებიანი ბილეთი პირველის და მეორეს სესხისა, 2 ბილეთი სახელმწიფო ოთხ პროცენტიანი რენტისა, 180 მანეთი ფულად, ვერცხლის კოვზები, ოქროს ბეჭედი და 12 ხელსახოცი. ქურდობას სწამობენ ვიღაც თევდორე სოლნცევს და პრასკოვია ეფიმოვს.

# პრესსა

გაზეთ „ნოვ. ობოზ“.-ს არ მოსწონებია არჩილ ჯორჯაძის წერილები, რომელნიც ჩვენ გაზეთში იბეჭდებოდა აქ უკანასკნელ დროს; და სწორედ ამ „არ მოწონებას“ უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ „ფრთხილ რედაქციას, სადაც ქართულის კარგი მცოდნე იმყოფება, ვერ გაუგია ხსენებულ წერილების აზრი და გაბედვით აწერს ჩვენს რედაქციას და ბ. ჯორჯაძეს ისეთ რამეს, რაც არ ყოფილა ჩვენს გაზეთში და აზრადაც არ მოსვლია ჩვენს თანამშრომელს.

„ნოვ. ობოზრენიე“ ამბობს:

„გაზეთ „ცნობის ფურცელს“, მას შემდეგ, რაც ის ახალ რედაქციის ხელში გადავიდა, არა ერთხელ გამოუცხადებია თვისი ღრმა ანტიპატია იმ ქცევის წინააღმდეგ, რომელსაც ხმარობდნენ ადგილობრივ მწერლობაში ამ 2-3 წლის წინათ ბ. ბ. „ჯიგიტები“. ამიტომ ჩვენ მეტად გვიკვირს, რომ იმავე გაზეთში პირველ ადგილას იბეჭდება წერილები არჩილ ჯორჯაძისა, რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმასვე, რაც თქმულა ბ. ბ. „ჯიგიტების“, Jus-ების, Lex-ების, Codex-ების და სხვების მიერ.

ახლად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ შემდეგი სტრიქონები“.

ამბობს რუსული გაზეთის რედაქცია და მოჰყავს ჯორჯაძის წერილის მხოლოდ ერთი ადგილი

ნათქვამს დამტკიცება უნდა, გავიმეორებთ ჩვენ ოპონენტის სიტყვებს, მაგრამ დასამტკიცებელ საბუთად არ კმარა ვრცელ წერილიდან უთავოდ და უბოლოოდ ამონაგლეჯი სულ პატარა ადგილი. ამ გვარის ხერხით ყველაფრის დამტკიცება შეიძლება.

არჩილ ჯორჯაძის ყველა წერილებში, სულ ერთია შეეხებოდა იგი ჩვენ ცხოვრებას, თუ უცხოეთისას, ის აზრი იყო გატარებული და დასაბუთებული, რომ თანამედროვე ხანაში ყველგან, უცხოეთშიაც და ჩვენშიაც, არსებობს ეროვნული ბრძოლა, რომლის მიფუჩეჩება და გვერდის ავლა შეუძლებელია და ვინც ამას სჩადის ან თავს იტყუილებს, ან სხვას ატყუებს.

ჩვენც, ქართველები, თანახმად ნამდვილად არსებულ პირობებისა უნდა ვმოქმედებდეთო, ამბობს ბ. ჯორჯაძე, თუ არ გვინდა, რომ სიტყვა „ქართველი“ მხოლოდ ისტორიულ ცნებად გარდაიქცესო.

ერთი მითხარით, რა არის ჯორჯაძის ამ აზრებსა და ავად სახსენებელ „ჯიგიტებისა“ და მის ამქრებისაგან მძულვარების ქადაგების შორის? „ჯიგიტი“ ვითომდა დაჩაგრულის გულ შემატკივრობით და თანაგრძნობით გატაცებული, თავის ანგარიშებს ასწორებდა, რისთვისაც იგი დღე მუდამ „ყარაულს“ გაიძახოდა. ჩვენ რედაქციას არ ჰქონია, არ აქვს და არც ექნება არაფერი საერთო „ჯიგიტთან“ და მათ თანამგრძნობლებთან. და ეს თვით ჯორჯაძის წერილებიდან სჩანს. ეროვნულ პრინციპის აღიარებიდან „ჯიგიტის“ „გვიშველეთ“ ამდე დიდი მანძილია და ვინც ამას ვერ ხედავს, ეს ან გაუგებრობით მოსდის, ან არ უნდა, რომ გაიგოს.

* * *

მკითხველთ, უეჭველია, ეხსომებათ ამას წინად დეპეშით გადმოცემული ამბავი, რომ სახელმწიფო საბჭოს დებულებაში ცვლილება მოხდა და რომ გამოიცა ახალი დებულება ამ უმთავრეს სახელმწიფო დაწესებულებისა. ამ ჟამად უკვე დაიბეჭდა ეს ახალი დებულება და გაზეთები კიდეც არჩევენ მას. გაზ. „როსსია“-ს სიტყვით, ღირს შესანიშნავი რამ ახალი არა არის-რა ახალს დებულებაში. მასში შეტანილია მხოლოდ ის ახალი კანონები და განკარგულებანი, რომელნიც გამოიცა ძველ დებულების გამოქვეყნების შემდეგ. ეს კანონები და განკარგულებანი არსებითად არ სცვლიან სახელმწიფო საბჭოს წეს-რიგს. ახალი, „როსსია“-ს სიტყვით, მხოლოდ მე-49 და 97—104 მუხლებია ახალს დებულებაში. მე-49 მუხლში ნათქვამია: „უფრო საყურადღებო და რთულ პროექტების თავდაპირველ განხილვისა და შემუშავებისათვის სახელმწიფო საბჭოს წევრთაგან შეიძლება შესდგეს განსაკუთრებული კომისიები“. შემდეგ ხსენებულ მუხლებში აღნიშნულია, თუ ვისგან შესდგება ეს კომისიები და რომ მათი თავჯდომარე დაინიშნება უმაღლესის ბრძანებით.

„როსსიას“ სიტყვით, საყურადღებოა ის, რომ

„განსაკუთრებულ კომისიებში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოიწვიონ გარეშე პირნიც, რომელთაც თავის ცოდნითა და გამოცდილებით შეუძლიათ სარგებლობა მოუტანონ ამა თუ იმ საქმის განხილვის დროს... რომ ამ გარეშე პირთ მართლა შეუძლიათ სარგებლობის მოტანაო, განაგრძობს გაზეთი, ამაზე ლაპარაკიც აღარ ღირსო. მაგრამ ახალ დებულებაში არ არის ნაჩვენები, თუ რა ძალა და მნიშვნელობა ექნება კომისიებს და, საზოგადოთ, რა როლს აასრულებენ ეს კომისიები და მოწვეულნი გარეშე პირნი საკანონმდებლო მოღვაწეობაში“.

# პროვინცია

**ქ. ქუთაისი.** არ იქნა და არა ეშველა-რა ზოგიერთს სოფლის მკურნალ-მარჩიელების თავხედურ ფართვაშს; არ იქმნა, ბოლო მოუღონ მათს მავნებელ მოქმედებას. მინდა ამ საგნის შესახებ ერთი მაგალითი მოვახსენო მკითხველებს: ქუთაისის ერთ განაპირა კუთხეში სცხოვრობს ქ-ნი ნ. დ—სა, რომელიც ... უმეცარ ხალხს და მისი პატივის... დაუმსახურებია. ერთს ღარიბს ოჯახში ... ბავშვი გახდარა ავად; რამოდენიმე დღის შემდეგ ძლიერ შეწუხებულს ავადმყოფის პატრონს და ქ-ნ მკურნალს გაუცვნიათ ერთმანეთი: პირველს მისთვის, რომ სამუალებას აღმოაჩენს და გაჭირვებისაგან გამოიყვანსო, და მეორეს მისთვის, რომ ჩემი საკბილო ჩავიგდე ხელშიო; დაჰპირებია ნამდვილ საშუალების აღმოჩენას — ამ ორ დღეში უთუოდ მოვარჩენ; ღვთის შემწეობით, ამ ჩემს წამალს ბევრი მოურჩენია და სადაც ამ წამალს დავსდებ, ღვთის ნათელიადგას და თქვენ ხომ იცით, ღვთის განგება რა ძლიერია, — უთქვამს ქალს. წამლები დაუტოვებია და დაურიგებია — ეს წამალი დაალევინეთ, ეს წყლის ქვევით წაუსვით, სადაც სიმსივნე ატყვია და უეჭველად მორჩებაო. ფულის რაოდენობა გარდაუწყვეტიათ. დედ-მამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონია. მაგრამ ამ წამლის წასმის ორი დღის შემდეგ, გამოჩნდა საზარელი სანახავი: წასასმელს წამალს ადგილი სულერთიან გაუტყავებია. გაქცეულან მკურნალ ქალთან და ყველაფერი უთქვამთ. «არა, ისევ ის წამალი წაუსვით და მოარჩენსო» — უთქვამს «მკურნალს». ამათაც გაუგრძელებიათ წამლის წასმა. წამალი კი ისეთ მხამში ყოფილა ნაღესი, რომ სულ ერთიანად დაუწვავს ბავშვი. ბავშვს ხორცი და კანი გამოელია, წამალს ყველა გვერდების ძვლები დაუწვავს და გარედ გამოჩრილა. მე რომ ის ავადმყოფი ბავშვი ვნახე, სულს ითქვამდა არა პირიდან, არამედ გვერდებიდან. კაცი გაუგზავნეს მკურნალ ქალს, მაგრამ აღარ გამოჩნდა. იმ დღესვე სული დალია ბავშვმა, შემდეგ მოუტყუილეს ის ქალი, ვითომ უკედ გახდა უმაწვილი და რომ გაიგო ეს გარემოება, სთხოვა დედ-მამას: «თქვენ ფულებს დაგიბრუნებთ, რადგან ვერ მოვარჩინე, ღმერთმა იცის, სულით და გულით მსურდა მომერჩინაო, მაგრამ, მადლობა ღმერთსო». იმედიც ამას ჰქვია! ამნაირად გამოეცალა დედ-მამას ერთად-ერთი საყვარელი შვილი. იმედია, ვისაც ჯერ არს ყურადღებას მიაქცევს ამ სატირ და სამწუხარო ამბავს.

ი. თოფურიძე

**ჭიათურა.** ერთ ხანს აყვავებულ მდგომარეობაში მყოფს შავი-ქვის მრეწველობას ისევ ფერი ეცვალა და მისს წარმოების ბორბალმა უკუღმა იწყო ტრიალი. შავი-ქვის ფასი საზღვარ გარეთ დაეცა, რამაც აქ კრიზისი გამოიწვია! არა ერთმა და ორმა შავი-ქვის მრეწველმა მშვიდობით მიიარეს წინდა ადგილები — ევროპის ბირჟები, მაგრამ არც თუ ამით შეიქნა შესაძლებელი ჩვენი წამხდარი საქმის გამოკეთება «დაგვრჩენია მხოლოდ ერთი იმედი»... და მოგვეცათ ღვთის წყალობა, ჩვენ მაზედ ვიყოთ ჩამდაუჭკებული და ხშირად ოცნებას ვეძლეოდეთ.

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან მთავრობა ავალებს შავი ქვის მრეწველთ, იყოლიონ მათ საკუთარი შტეიგერები თუნდ ტეხნიკები, რომლებმაც უნდა იკისრონ მადნების წესიერად დამუშავება და მთავრობასთან (უბედურ შემთხვევების დროს) პასუხის გება. თქმა არ უნდა, ეს გარემოება ტვირთად დააწვება ისედაც ფეხს დაცემულს შავი-ქვის მრეწველობას და ახალი ხარჯების შეუძლებლობის გამო არა ერთი და ორი მრეწველი აიღებს ხელს მისს დამუშავებაზედ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ გვარად მომზადებული პირები (ტეხ იკები) 1-ლ ივლისიდან მრავალი იქნება საჭირო. ჯერ-ჯერობით სულ ორმა ქართველმა დაიჭირა ეგზამენი სამთო სამმართველოში, რომელთაც მიეცათ ნება კერძო შტეიგერობის თანამდებობა შეასრულონ. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება შავი-ქვის საბჭომ და იღონოს რამ ან შტეიგერების მოსამზადებლად ან და, მთავრობასთან შუამდგომლობით, ხელ-ახლავ ვადის გადადება, როგორც შარშან. — როგორც გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, ფოთის ნავთ-სადგურის ზოგი ერთ ხარჯების დასაფარავად მთავრობამ დამატებითი ბაჟი შეაწერა $1/2$ კაპეიკი ფოთში შემოტანილ-გატანილ საქონელზედ, მათ შორის შავქვაზედაც. ეს გარემოება კიდევ რამდენიმეთ

ხელს შეუშლის კარგ ფასებში შავი-ქვის გაყიდვას.

რაჟდენ მოსეშვილი

# სასამართლო

## მოვახშეობა

ხუთშაბათს, 17 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის, სოფ. წუხრელას მცხოვრების ტარიელ რევაზის ძის ძიძიშვილისა, რომელსაც მოვახშეობა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოში ძიძიშვილის დანაშაულობა გამორკვეულა მოწმების ჩვენებით: იგი თურმე 20 წლის განმავლობაში მოვახშეობას ეწევოდა და თითქმის ხელობად ჰქონია გადაქცეული ფულის გასესხება; იგი თურმე მოვალეს ხშირად თვეში თუმანზე 50 კაპ. ახდევინებდა და ამასთანავე არასოდეს არ მიუცია ხელწერილი ვისთვისმე სარგებლის მიღებაში; ძიძიშვილი ფულის გავაღების დროს ასე მოქმედებდა: მაგალ., 100 მანეთს რომ ვისმე მისესხებდა, ვექსილს ჩამოართმევდა 200 მანეთისას და ხშირად 300 მანეთისასაც, ამასთანავე ართმევდა შემდეგ პირობის წერილს: თუ დროზე ფულს მოვალე არ გარდაუხდიდა, ჯარიმას გარდაახდევინებდა, ხშირად გავალებულ ფულის ოდენას. ამნაირად, სხვათა შორის, ძიძიშვილს გარდაუხდევინებია ფული ილია მაჭავარიანისათვის; ძიძიშვილს უვალებია ვითომც მაჭავარიანისათვის 300 მან. და გამოურთმევია სამი ვექსილის ქაღალდი 100 მანეთიანი თითო და ამასთანავე საჯარიმო პირობა 200 მანეთისა. სასამართლოში მოწმებს დავით ცომაკურიძეს, პავლე მაჭავარიანს, დიმიტრი მხეიძეს, ოქრუა მესხს, დავით გოცირიძეს მალაქია გურულს და სხვებს განუცხადებიათ, რომ ცომაკურიძეს გამოურთმევია ბრალდებულისათვის 100 მანეთი და 50 მან. დირებული ცხენი და ნაცვლად მიუცია სამი ვექსილის ქაღალდი ერთი 100 მან., ორი 500 მანეთისა თითო, პავლე მაჭავარიანისათვის 100 მან. მიუცია ძიძიშვილს ორის ას-ას მან. ვექსილების გამორთმევით, ილია მაჭარარიანისათვის 100 მან. სამი ას-ას მან., ვექსილისა და ერთი 200 მან. საჯარიმო პირობის ქაღალდის გამორთმევით; ექვთიმე მაჭავარიანისთვის 170 მან., 170 მან ვექსილისა და 200 მან. პირობის ქაღალდის გამორთმევით, ოქრუა მესხისათვის 200 მან.—400 მან. ვექსილის ქაღალდის გამორთმევით და სხვანი. ასეთი შემთხვევები ყოფილა 12 მეტი. ოლქის სასამართლოში ტარიელ ძიძიშვილს თავი უმართლებია აღნიშნულ ბრალდებაში და განუცხადებია, რომ მას მაჭავარიანისათვის საჯარიმო პირობის წერილი არ გამოურთმევია და თუმცა იგი ფულის გასესხების დროს ერთი ორად ართმევდა ვექსილებს, მაგრამ ერთჯერ არავისათვის ნამდვილ მართებულობის მეტი არ გარდაუხდევინებია. თუმცა ძიძიშვილს ასეთი ფულების გასესხება და მეტის უკანონო სარგებლის აღება დაუწყვია 1893 წლის 24 მაისამდე, როდესაც გამოიცა კანონი მოვახშეთა მოქმედების დასჯის შესახებ, მაგრამ სასამართლოს უმართებულეს სენატის 1895 წლის განმარტებით საჭიროდ დაუნახავს ძიძიშვილის სასჯელის გარდაწყვეტა, რადგანაც 1893 წლამდე ზოგიერთი გაცემული ვექსილებით შემდეგ აღნიშნულ წლისა გარდაუხდევინებია მოვალეებისათვის ფულები. სასამართლოს, მიუღია რა სახეში 1894 და 1896 წლებში გამოცემული მანიფესტები, დაუდგენია—ჩამოერთვას ტარიელ ძიძიშვილს ყოველივე განსაკუთრებული პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებული უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს ასტრახანის გუბერნიაში ორის წლისვადით საცხოვრებელ ადგილის განუშორებლად და აგრეთვე დაეკისროს მასვე საქმის წარმოების ხარჯიც. სასამართლოს აგრეთვე დაუდგენია გაუქმებულ იქმნენ ძიძიშვილისმიერ ჩამორთმეული სხვა-და-სხვა პირებისაგან შემდეგი ვექსილები: ბიჭია წყემურიშვილისა 100 მან. 1891 წ. გამორთმეული, დავით ცომაკურიძისა 200 მან. (ორი ვექსილი) 1891 წ. ილია მაჭავარიანისა 300 მან., ოქრუა მესხისა 400 მან., დავით გოცირიძისა 50 მან., პავლე მაჭავარიანისა 200 მან. გამორთმეულნი 1892 წ. ექვთიმე მაჭავარიანისა 270 მან. 1893 წ., მალაქია გურულისა 100 მან., გიორგი ჭანტურიძისა 100 მან., ხელწერილი დიმიტრი მხეიძის 80 მან. და ორის წერილი ზარნაძისა 1899 წ. 1 ნოემბერს გამორთმეული 100 მან. ძიძიშვილი ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ არ დასთანხმებია და გაუსაჩივრებია ტფილისის სამოსართლო პალატაში, სადაც ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ-ნი ი. გუნცაძე, რომელმაც მიაქცია უმთავრესი ყურადღება მოწმების სხვა და სხვანაირად ჩვენებას და განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ ძიძიშვილისაგან ყოველივე ნამოქმედარია 1893 წლის 24 მაისამდე, როდესაც გამოიცა კანონი მოვახშეობის შესახებ და მანამდე ნამოქმედარი შემდეგ გამოცემულ კანონით არ უნდა დაისაჯოს. სამოსამართლო პალატამ კარგა ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ტარიელ ძიძიშვილის სასჯელი ერთის წლით ციხეში დაპატიმრებით შეუცვალა.

# საღამოს დეპეშები

18 მაისა.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომლით საერო განათლების საბჭოს წევრი და სამინისტროს მსწავლულთა კომიტეტის თავმჯდომარე გეორგიევსკის და საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ზვეროვი ჩაირიცხნენ უმართებულესის სენატის წევრებად.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო გამართონ სახელმწიფოს ყველა დაგილებში ხელის მოწერა რუსულ მუსიკის სკოლის შემქმნელის მ. ს. გლინკასათვის ძეგლის დასადგმელად.

**ოდესსა.** უმთავრესი შტაბის უფროსი გენერალი სახაროვი პეტერბურგს წავიდა.

**მოსკოვი.** 17 მაისს მომრიგებელ მოსამართლეთა კრებამ იდღესასწაულა თვისი არსებობის 30 წლის დღეს.

**ყაზანი.** დიდი ხნის გვალვამ და ცივმა ამინდმა შეაჩერა ზაფხულის ნათესობის ზრდა. ზამთრის ნათესობა მეტად ფუჭდება. უკანასკნელ დღეებში წვიმა მოდის და დათბა.

**სარატოვი.** „ქალთა შორის სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების“ აქაურმა განყოფილებამ 15 მაისს დააარსა სამეურნეო კურსები აქაურ სამიწად მოქმედო სასწავლებელთან.

**ვენა.** ივნისის დასაწყისში აქ ჩამოვა რუსეთის დრაგუნთა მე-35 პოლკის ოფიცერთა დეპუტაცია; ამ პოლკის შეფად არის იმპერატორი ფრანცი იოსები.

**ბერლინი.** გამოცხადდა იმპერატორის ბრძანება, რომლით: 1) აღმოსავლეთ-აზიის მხედრობის მთავარსარდლის მმართველობა უნდა გაუქმდეს და სამშობლოში დაბრუნდეს; 2) აღმოსავლეთ აზიის კორპუსი შემცირებულ იქმნება ერთ ბრიგადამდე, დანარჩენი ჯარები დაბრუნდებიან სამშობლოში და განთავისუფლებულ იქმნებიან სამსახურიდან; 3) ხსენებული ბრიგადა, აღმოსავლეთ აზიის ბრიგადის სახელ-წოდებით, დარჩება ჩინეთში წეს-რიგის დასაცველად შემდეგ განკარგულებამდე.

**ვენა.** იმპერატორმა ინახულა რუსეთის დრაგუნთა ბუგის მე-26 პოლკის დეპუტაცია.

**პოტსდამი.** აქ მოვიდა ჰოლანდიის დედოფალი მეუღლითურთ; სასახლეში გაიმართა სადილი; იმპერატორმა დედოფლისა და მისი მეუღლის სადღეგრძელო დალია.

**ლონდონი.** კონსტაუნიდან (კაპის ახალშენში) იტყობინებიან, რომ ქალაქის სადარაჯო რაზმმა მთელი ღამე საფრებში გაატარა; ახალ განკარგულებამდე ეს რაზმი სამსახურში რჩება. მგზავრთა მოძრაობა ჩრდილოეთით შეწყვეტილია. ხმა არის, რომ ბაიმის იქით ბურების რაზმი იმყოფება კრუიცინგერის უფროსობით.

**დურბანი.** 400 ბური, მირსის, ბეკ-ვილიენის, სპრუიტის და ბრეიტენბახის უფროსობით, დაეცა ბეტელის სამხრეთით პლუმერის ალაღს, მაგრამ 6 საათის ბრძოლის შემდეგ უკუქცეულ იქმნენ. ინგლისელთ 6 მოუკლეს და 20 დაუჭრეს, ბურებს კი 6 მოუკლეს და 30 დაუჭრეს. პლუმერის რაზმი სტანდერტონში მივიდა და მიიყვანა იქ მრავალი დატყვევებულ ბურების ოჯახები.

| რედაქტორი | გამომცემელი |
|---|---|
| ალ. ჭყონია. | ალ. ჯაბადარი. |

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 15 მაისს.**

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,80 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,90 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,75 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 5 1/2,—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 1/8 გაყიდ. |
| 4 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | 96 გამყიდ. |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 365 1/2 გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 299 1/2 „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 219 გაყიდ. |
| 3 1/2% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 88 3/4 მყიდვ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | 93 გაყიდ. |
| 4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

**ტფილისიდან** ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

**ტფილისიდან** ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ- 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ტფილისიდან** ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.)

**ქუთაისიდან** ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

**საავადმყოფოები**

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, ... ხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ... თო ოთახში—12 მან. ... ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ... ლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარ... თვის რჩევაც და წამლობაც უფასოდ. სამკურ... ლოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებ...

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-... როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი ... ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა ვორონცოვის ქუჩა, სახ... ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ... სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ ... ვენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყო... სულით ავად... თა ვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუ... ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის ... ში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის ... მყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პა... ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოდ, 15 ად... —ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ... მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ... საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუბიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლ...

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, ... დი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.


# განცხადებანი

ქართველ სადებ-მიცემო ამხანაგობის

## „მუამავლის“

წლიური კრება დანიშნულია მაისს ... საღამოს 7 საათზე ტფილისის სათ... აზნაური ბანკის სადგომში. (3—...

## ტფილისის ქალაქის გამგეო...

ამით აცხადებს, რომ მის თანადა... ბით, 1901 წლის 24 მაისს, 12 საათზ... ხდება საჯარო ვაჭრობა ავლაბრის აგარ... მდებარე ქალაქის მიწის, ზომით 23 ... ტინის, იჯარით გაცემისა—მხოლოდ ... სამუშაოდ. ვაჭრობაში მონაწილეობი... ლების მსურველთ შეუძლიან გაეცნო... რობებს გამგეობის მეთხე განყოფილ... ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგ, ... 3 საათამდე. ვაჭრობის დაწყებამდე ... იქმნეს წარმოდგენილი გირაოთ 10... ნეთი. (3—5.—...

სალდათის ბაზარში იყიდება საუკეთესო... სების და ბევრათ სხვაზე უფრო იაფ...

გაცხავებული და მშრალი ნახშირი

წონით ფუთი 40 კ. ვისაც ნებავ... მოგზავნონ თავიანთი ადრესი და სა... მიუტანთ ჩვენი ხარჯით. ამასთანავე ვ... მყიდველთ ნახშირის მომტანს მოსთხ... ბარათი.

(6—84—2) დ. ხუნდ...

თხზულება

## თ. რ. ერისთავი...

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის ... ში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშ... ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Груз... Издательское Товарищество.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мая, 1901 г. სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.